თიბისი ბანკი
TBC BANK

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

2007

თიბისი ბანკი
TBC BANK

Together we are stronger

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT
2007

www.tbcbank.ge

შინაარსი
CONTENT

შინაარსი
CONTENT

მისია და ხედვა
MISSION AND VISION

თიბისი ბანკის მისიაა უზრუნველყოს კლიენტების კმაყოფილების მაღალი დონე და კომპანიის ღირებულების სტაბილური ზრდა

THE MISSION OF TBC BANK IS TO ENSURE A HIGH LEVEL OF CLIENT SATISFACTION AND A SUSTAINABLE INCREASE IN THE COMPANY'S VALUE.

თიბისი ბანკის ხედვა

- თიბისი ბანკი ლიდერი კომპანიაა რეგიონში. იგი გამოირჩევა კლიენტებზე განსაკუთრებული ზრუნვით, მუდმივი ნოვატორობითა და განვითარებისაკენ სწრაფვით;
- ბანკის წარმატებას განაპირობებს კარგად განვითარებული და მრავალფეროვანი მომსახურების არხები, ეფექტური გაყიდვების სისტემები, მომსახურების ხარისხი;
- ბანკი ცნობილია, როგორც ყველაზე სასურველი დამქირავებელი ქვეყანაში. უქმნის საუკეთესო გარემოს შედეგზე ორიენტირებულ და ინიციატივიან პროფესიონალებს. განსაკუთრებით აფასებს გუნდური მოღვაწეობის პრინციპებს;
- ბანკი ზრუნავს ეროვნული კულტურული ფასეულობების შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე, რითაც დამატებითი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.

VISION OF TBC BANK

- TBC Bank is a leading company in the region. It is distinguished by outstanding client services, constant innovations and aspiration to develop further.
- The success of the Bank is thanks to well developed and diverse service channels, effective sales systems and the high quality of its services.
- The Bank is known for its outstanding treatment of its employees. It creates an ideal environment for result-oriented and motivated professionals and places high value on the principles of teamwork.
- The Bank works towards ensuring the preservation and strengthening of national cultural values, thus additionally contributing to the development of society.

ბანკის მენეჯმენტი
BANK MANAGEMENT

სამეთვალყურეო საბჭო

მამუკა ხაზარაძე (თავმჯდომარე)
ბადრი ჯაფარიძე
დავით ხაზარაძე
გიორგი კეკელიძე
ბობ მეიერი
დუგლას გუსტავსონი (IFC)
სტეფან შუჰანი (DEG)

დირექტორატი

ვახტანგ ბუცხრიკიძე	პრეზიდენტი
პაატა ღაძაძე	პირველი ვიცე-პრეზიდენტი
ზეზვა ცისკარიშვილი	ვიცე-პრეზიდენტი
გიორგი ასლანიკაშვილი	ვიცე-პრეზიდენტი
ვანო ბალიაშვილი	ვიცე-პრეზიდენტი
ნინო მასურაშვილი	ვიცე-პრეზიდენტი
გიორგი ბედინეიშვილი	ვიცე-პრეზიდენტი

SUPERVISORY BOARD

Mamuka Khazaradze (Chairman)
Badri Japaridze
David Khazaradze
Giorgi Kekelidze
Bob Meijer
Douglas Gustafson (IFC)
Steffen Suhany (DEG)

BOARD OF DIRECTORS

Vakhtang Butskhrikidze	President
Paata Gadzadze	First Vice President
Zezva Tsiskarishvili	Vice President
Giorgi Aslanikashvili	Vice President
Vano Baliashvili	Vice President
Nino Masurashvili	Vice President
Giorgi Bedineishvili	Vice President

ბანკის ისტორია
BANK HISTORY

1992 17 დეკემბერს დაფუძნდა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი".

1993 მაისში თიბისი ბანკს მიენიჭა საერთაშორისო ოპერაციების წარმოების ლიცენზია.

1996 ივნისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო აუდიტორული შემოწმება "Coopers & Lybrand"-ის მიერ.

აგვისტოში TACIS-სა და თიბისი ბანკს შორის გაფორმდა პირველი საკრედიტო ხელშეკრულება.

დეკემბერში თიბისი ბანკმა დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება. გაიხსნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პირველი საკრედიტო ხაზი – 3 მილიონი აშშ დოლარი.

1997 თებერვალში გაიხსნა მსოფლიო ბანკის საკრედიტო ხაზი – 1 მილიონი აშშ დოლარი.

1998 თებერვალში გაიხსნა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკრედიტო ხაზი – 3 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც კვლავ მიმართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე.

17 მარტს თიბისი ბანკსა და EBRD-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოში "აკრედიტივების ხელშემწყობი პროექტის" განხორციელების თაობაზე, 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. პროექტი ეხმარებოდა საქართველოში ვაჭრობის განვითარებას და ახალი კომერციული კონტაქტების ჩამოყალიბებას.

16 აპრილს გაიხსნა გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიის (DEG) საკრედიტო ხაზი – 3 მილიონი გერმანული მარკა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მოხმარდა.

1999 17 აგვისტოს EBRD-ის "აკრედიტივების ხელშემწყობი პროექტის" თანხა გაიზარდა 2 მილიონი აშშ დოლარით. ამასთან, EBRD გარანტორად დაუდგა თიბისი ბანკს პირველი კლასის ბანკების წინაშე.

მაისში თიბისი ბანკმა მონაწილეობა მიიღო „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" (დღევანდელი "პროკრედიტბანკი") დაფუძნებაში.

2000 2 თებერვალს გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიის (DEG) მიერ თიბისი ბანკისთვის მოხდა მეორე საკრედიტო ხაზის – 2 მილიონი ევროს გამოყოფა.

26 მაისს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG) თიბისი ბანკის აქციების 10-10 პროცენტის მფლობელნი გახდნენ.

სექტემბერში Thomson Financial Bankwatch-მა თიბისი ბანკს საერთაშორისო რეიტინგი მიანიჭა. ეს იყო ქართული კომპანიისათვის საერთაშორისო რეიტინგის მინიჭების პირველი შემთხვევა.

2001 8 მაისს თიბისი ბანკმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგის (GPI ჰოლდინგი) დაფუძნებაში. GPI ჰოლდინგი პირველი სადაზღვევო კომპანიაა საქართველოში, რომელმაც მომხმარებელს საპენსიო დაზღვევა შესთავაზა.

1992 The joint stock company TBC Bank was founded on 17 December.

1993 In May, TBC Bank was granted a license to carry out international transactions.

1996 In June, Coopers and Lybrand conducted the first international audit of the bank.

In August, TACIS and TBC Bank signed the first credit agreement.

In December, TBC Bank launched a funding programme for small and medium-sized business. A USD 3m credit line from the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) was opened.

1997 In February, another credit line was established through a World Bank contribution of USD 1m.

1998 In February, the International Finance Corporation (IFC) allocated a credit line worth USD 3m, which was again directed at financing small and medium-sized enterprises (SME).

On 17 March, EBRD deepened its cooperation with TBC Bank through signing an agreement on the Letter of Credit Support Project, worth USD 2m. The project was aimed at supporting the development of commerce and the establishment of new commercial contacts in Georgia.

On 16 April, the German Investment and Development Company (DEG) allocated a credit line of 3 million German marks for SME development.

1999 On 17 August, the volume of EBRD's Letter of Credit Support Project increased by USD 2m. In addition, EBRD became a guarantor of TBC Bank before first class banks.

In May, TBC Bank participated as a founder of the Microfinance Bank of Georgia, which is now known as ProCredit Bank.

2000 On 2 February, a second DEG credit line for EURO 2m was opened at TBC Bank.

On 26 May, IFC and DEG became TBC Bank shareholders, each with a 10% stake.

In September, Thompson Financial's BankWatch awarded TBC Bank an international rating. TBC Bank was the first Georgian company to receive this honour.

ბანკის ისტორია
BANK HISTORY

2001

16 აგვისტოს გაიხსნა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკრედიტო ხაზი – 3 მილიონი დოლარი. ამ საკრედიტო ხაზის ფარგლებში თიბისი ბანკმა იპოთეკური დაკრედიტების პროგრამა გააფართოვა.

2002

მარტიდან თიბისი ბანკი, ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მსხვილი ბანკი გახდა.

13 ივნისს გამომცემლობა "Georgian Times"-ისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია "გორბის" მიერ თიბისი ბანკი 2001 წლის საუკეთესო ქართულ კომპანიად დასახელდა.

3 სექტემბერს თიბისი ბანკი Financial Times Group-ის ჟურნალ "The Banker"-ის ყოველწლიურ საბანკო რეიტინგში მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის დასახელდა.

დეკემბერში თიბისი ბანკს ევროგაერთიანების ფორუმის (EuroMarket Forum-2002) პრემია მიანიჭა.

2003

9 სექტემბერს თიბისი ბანკი Financial Times Group-ის ჟურნალ "The Banker"-ის ყოველწლიურ საბანკო რეიტინგში მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის მეორედ დასახელდა.

5 დეკემბერს თიბისი ბანკსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) შორის გაფორმდა ხელშეკრულება რისკების დაზღვევის თაობაზე – 2 მილიონი ევრო და 3 მილიონი დოლარი.

19 დეკემბერს თიბისი ბანკსა და EBRD-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე. ეს იყო პირველი ინვესტიცია საქართველოს ბიზნეს სექტორში 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

2004

იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო კომპანია "თიბისი ლიზინგმა", რომელიც თიბისი ბანკმა დააფუძნა. საქმიანობის დაწყებიდან 1 წლის თავზე "თიბისი ლიზინგმა" საქართველოს სალიზინგო ბაზარზე სერიოზული პოზიციის დაკავება შეძლო.

მარტში ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" თიბისი ბანკი სავალუტო ოპერაციების ბაზარზე მოქმედ მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორის დაასახელა.

7 სექტემბერს ლონდონში Financial Times Group-ის ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადდა, სადაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის ზედიზედ უკვე მესამედ დასახელდა თიბისი ბანკი.

2005

იანვარში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) თიბისი ბანკს 4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი გამოუყო. ეს იყო საქართველოში საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ კომერციული ბანკისათვის სუბორდინირებული სესხის გამოყოფის პირველი პრეცედენტი.

26 თებერვალს გაიხსნა თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისი. იგი განთავსდა მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში აშენებულ უნიკალურ შენობაში, რომელიც ქალაქის არქიტექტურულ ძეგლებს განეკუთვნება. შენობის რეკონსტრუქციაზე ბანკმა 6 მილიონი აშშ დოლარი გაიღო.

2001

On 8 May, TBC Bank participated in the foundation of Georgian Pension and Insurance Holding (GPI Holding), the first insurance company in Georgia offering pension services.

On 16 August, IFC allocated a further credit line of USD 3m, allowing TBC to expand its mortgage lending programme.

2002

In March, TBC Bank became the largest bank in Georgia according to various financial indicators.

On 13 June, TBC Bank was nominated as the best Georgian company of 2001 by the Georgian Times newspaper and the Marketing Research Company GORBI.

On 3 September, Financial Times magazine named TBC Bank among the world's "Best Banks of the Year".
In December, the 2002 Euromarket Forum Prize was awarded to TBC.

2003

On 9 September, Financial Times magazine included TBC Bank in the list of "Best Banks of the Year" for the second consecutive year.

On 5 December, an agreement on risk insurance worth EURO 2 million and USD 3 million was signed with the IFC.

On 19 December, the EBRD allocated a USD 6 million credit line, marking the first investment in the Georgian commercial sector after the Rose Revolution in November 2003.

2004

In January, the company TBC Leasing, founded by TBC Bank, began operations. In just a year, it was able to stake out a substantial share of the Georgian market.

In March, the American magazine Global Finance named TBC Bank as one of the best banks worldwide operating on the foreign exchange market.

On 7 September, TBC was included for the third year in a row on the Financial Times' annual list of "Best Banks of the Year".

2005

In January, the International Finance Corporation (IFC) granted a USD 4m subordinated loan to TBC, the first of its kind by an international institution to a Georgian commercial bank.

On 26 February TBC Bank's new Head Office was opened in a unique historical building constructed in Tbilisi in the beginning of the 20th century that is recognized as one of the city's architectural monuments. TBC Bank spent USD 6m on reconstructing and refurbishing the building.

ბანკის ისტორია
BANK HISTORY

2005

27 ივლისს IFC-მ 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გაუხსნა კომპანია "თიბისი ლიზინგს". ეს IFC-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოს სალიზინგო სექტორში.

სექტემბერში Financial Times Group-მა ყოველწლიური საბანკო რეიტინგში მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის უკვე მეოთხედ დაასახელა თიბისი ბანკი.

26 სექტემბერს თიბისი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების პროგრამაზე. სახელშეკრულებო თანხა 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

ოქტომბერში ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" თიბისი ბანკი სავალუტო ოპერაციების ბაზარზე მოქმედ მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორის უკვე მეორედ დაასახელა.

7 ნოემბერს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings თიბისი ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი "CCC+"-დან "B-" დონემდე გააუმჯობესა, ხოლო მოკლევადიანი რეიტინგი – "C"-დან "B" დონემდე. გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკის ზრდა შეფასდა, როგორც "სტაბილური".

2006

თებერვალში გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიამ (DEG) თიბისი ბანკს 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი გამოუყო, რომლის ინვესტირებაც თიბისი ბანკის კაპიტალში განხორციელდა.

1 მარტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) სალიზინგო კომპანია "თიბისი ლიზინგის" აქციათა 10% შეიძინა. ამავე დროს, 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო "თიბისი ლიზინგს", რაც EBRD-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოს სალიზინგო სექტორში.

აპრილში ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" თავის პერიოდულ საბანკო რეიტინგში "მსოფლიოს განვითარებადი ბაზრების საუკეთესო ბანკები" თიბისი ბანკი კვლავ დაასახელა, როგორც საუკეთესო ბანკი საქართველოში.

1 მაისს თიბისი ბანკმა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) გააფორმეს ხელშეკრულება ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელების შესახებ. პროექტის მიზანი იყო თიბისი ბანკის პოზიციების გაძლიერება ფიზიკური პირების სეგმენტზე.

მაისში თიბისი ბანკმა და "სითიბანკმა" ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას არაუზრუნველყოფილი სესხის – 35 მლნ აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე. ეს იყო ყველაზე დიდი მოცულობის საკრედიტო ხაზი მანამდე უცხოური კომერციული ბანკების მიერ ქართული ბანკებისთვის მიცემულ სესხებს შორის.

ივლისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) თიბისი ბანკს 15 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გამოუყო, რომელიც საქართველოში იპოთეკური სესხების გაცემას მოხმარდა.

28 აგვისტოს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings გრძელვადიან პერსპექტივაში თიბისი ბანკის ზრდის შეფასება "სტაბილურიდან" "პოზიტიურამდე" გააუმჯობესა.

2005

On 27 July the IFC made its first investment in the Georgian leasing sector by granting a credit line of USD 3m to TBC Leasing.

In September, in its annual bank rating, the Financial Times Group included TBC Bank among the world's "Best Banks of the Year" for the fourth time.

On 26 September the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) signed a USD 10m agreement on financing SMEs.

In October, the American magazine Global Finance named TBC Bank one of the best banks worldwide operating on the foreign exchange market for the second time.

On 7 November, the international rating agency FitchRatings raised TBC Bank's long-term rating from "CCC+" to "B-" while its short-term rating improved from "C" to "B". The bank's long-term growth was assessed as "stable."

2006

In February, DEG allocated a USD 10m subordinated loan, which was invested in TBC Bank's equity.

On 1 March, EBRD purchased 10% of TBC Leasing's shares and allocated a USD 3m loan, marking the first EBRD investment in the Georgian leasing sector.

In April, the American magazine Global Finance, in its annual bank rating "The Best Banks of Developing Markets of the World" praised TBC Bank as "the Best Bank in Georgia".

On 1 May TBC Bank and the IFC concluded an agreement on the implementation of a technical assistance project whose goal was to increase TBC's share of the retail sales market.

In May, TBC Bank and City Bank concluded an agreement on the allocation of an unsecured loan in the amount of USD 35m, the largest credit line ever provided by a foreign commercial bank to a Georgian bank.

In July, EBRD provided TBC Bank with a USD 15m credit line intended for mortgage lending in Georgia.

On 28 August, the international rating agency FitchRatings revised its outlook for TBC Bank from "Stable" to "Positive".

In November, the Netherlands Development Financial Company (FMO) and TBC Bank signed an agreement on the allocation of a USD 10m credit line over a 5-year term.

In December, the international organization Business Initiative Directions awarded TBC Bank with a Gold Star, a distinction of international quality.

ბანკის ისტორია
BANK HISTORY

2006

ნოემბერში ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანია FMO-სა და თიბისი ბანკს შორის გაფორმდა ხუთწლიანი ხელშეკრულება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე.

დეკემბერში საერთაშორისო ორგანიზაციამ Business Initiative Directions თიბისი ბანკი ხარისხის საერთაშორისო ჯილდოთი Gold Star დააჯილდოვა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა თიბისი ბანკს პირველად მიანიჭა საკრედიტო რეიტინგი შემდეგი კატეგორიით: B3 უცხოური ვალუტის და Baa3 ადგილობრივი ვალუტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგები, რაც წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით მიღწევად ყველაზე მაღალ შეფასებას.

2007

თებერვალში თიბისი ბანკმა საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის, ESM-თბილისის აქციათა 20% შეიძინა.

მარტში თიბისი ბანკს მსოფლიოში ხარისხის ყველაზე ავტორიტეტული სტანდარტი, ISO 9001:2000 მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატი მიენიჭა.

მარტში ამერიკულმა ჟურნალმა “Global Finance” “მსოფლიოს განვითარებადი ბაზრების საუკეთესო ბანკების” რეიტინგში თიბისი ბანკი კვლავ დაასახელა, როგორც საუკეთესო ბანკი საქართველოში.

ივლისში საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings თიბისი ბანკის რეიტინგი 2 საფეხურით გააუმჯობესა და “B+“ კატეგორია მიანიჭა.

მაისში საერთაშორისო სააგენტომ Moody's, თიბისი ბანკს რეიტინგი მიანიჭა შემდეგი კატეგორიებში: შეფასება – სტაბილური, საბანკო დეპოზიტები – უცხოურ ვალუტაში – B3/NP, საბანკო დეპოზიტები – ეროვნულ ვალუტაში Ba1/NP, ბანკის ფინანსური მდგრადობა – D-.

30 სექტემბერს თიბისი ბანკის აქტივებმა 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც 9 თვეში ბანკის აქტივების 80%-იან ზრდას ნიშნავს.

შემოდგომაზე თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა და რეგიონული განვითარების მიმართულებით პირველი პროექტი წარმატებით განახორციელა – თიბისი ბანკმა აზერბაიჯანში ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტის, “სოა კრედიტის” აქციათა 75% შეიძინა.

დეკემბერში თიბისი ბანკმა დაიწყო ადგილობრივი ბაზრისთვის სრულიად ახალი ტიპის საბანკო ფილიალების დანერგვა, რომელიც მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შეიქმნა. პროექტი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია “სენტეოს” მხარდაჭერით განხორციელდა.

2006 For the first time the Moody's Investors Service agency gave TBC long-term credit ratings of B3 and Baa3 for foreign currency and local currency respectively. Thus far, this is the highest rating achieved by any Georgian bank.

2007 In February TBC Bank bought 20% of shares of one of the leading educational institutions in Georgia – the European School of Management in Tbilisi.

In March TBC Bank was awarded the most authoritative quality standard in the world – Certificate of Conformity with Requirements ISO 9001:2000.

In March, the American magazine "Global Finance" named TBC Bank in the rating of "The Best Banks of Emerging Markets of the World" and called it "the Best Bank in Georgia".

In May, the international agency Moody's gave TBC Bank the following ratings for 2007: appraisal – stable, bank deposits in foreign currency – B3/NP, bank deposits in national currency – Ba1/NP, bank's financial stability – D-.

In July, International Rating Agency FitcRating increased the rating of TBC Bank by two levels and awarded it a "B+" rating.

On 30 September, TBC Bank's assets exceeded 1bn USD, which means an 80 per cent increase in the Bank's assets over the previous nine months.

In autumn TBC Bank went beyond Georgia's borders and successfully implemented its first project directed towards regional development – TBC Bank bought 75 per cent of shares of Azerbaijan's SOA Credit.

In December TBC Bank began introducing an absolutely new type of bank branch offices for the local market, which were created in accordance with modern international standards. The project was implemented with the support of the International Consulting Company CENTEO.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა
SPEECH OF THE SUPERVISORY BOARD CHAIRMAN

წარმატების მიღწევა და ბიზნესში წამყვანი პოზიციების დაკავება თავისთავად რთული ამოცანაა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. მთავარი სირთულე სწორედ მას შემდეგ იწყება, როდესაც კომპანია მიაღწევს ამ წარმატებას და ახალი ამოცანის წინაშე დადგება – შეინარჩუნოს მიღწეული პოზიციები და დინამიურად განაგრძოს განვითარება, ყველა ეტაპზე იპოვოს ახალი შესაძლებლობები და ერთი წამითაც არ შეჩერდეს; რაც მთავარია, ამ ყველაფრის პარალელურად, შეინარჩუნოს სუფთა რეპუტაცია და განამტკიცოს მომხმარებელთა ნდობა.

გასულ წელს თიბისი ბანკი ბევრად უფრო რთული ამოცანის წინაშე დადგა – ჩვენს კომპანიას ამ მიზნების მიღწევა მოუწია არნახულად დიდი ზრდის ფონზე. შარშან თიბისი ბანკი ორჯერ გაიზარდა როგორც ფინანსური მაჩვენებლების, ისე თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით.

ამ კოლოსალური ზრდის პირობებში, თიბისი ბანკმა შეძლო ბაზარზე თავისი პოზიციების განმტკიცება და, ამავდროულად, ბევრი სტრატეგიული მნიშვნელობის წარმატების მიღწევა.

მათგან სამ, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას გამოვყოფ: თიბისი ბანკის ახალ სტრატეგიაზე გადასვლა, საქართველოსთვის სრულიად ინოვაციური, ულტრათანამედროვე ტიპის საბანკო ფილიალების ქსელის შექმნა და თიბისი ბანკის გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მე და ჩემი გუნდი სიამაყით წარმოგიდგენთ 2007 წელს ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგებს. ყველა მიღწევა და ფინანსური შედეგი, რომელსაც წინამდებარე ანგარიშში გაეცნობით, ათასობით ადამიანის შრომის შედეგია და ათეულ ათასობით ადამიანის – ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორების და, მათთან ერთად, ჩვენი თანამშრომლების – კეთილდღეობას ემსახურება.

მამუკა ხაზარაძე

Achieving success in business and becoming a leader in one's field is a tall order. But it's not everything. The main challenge comes after a company achieves this success – it must retain its leading position and continue developing dynamically, find new opportunities at each stage, not stop even for a second and, most importantly of all, maintain a reputation of reliability and the trust of its clients.

Last year TBC Bank strove to achieve these objectives against the background of unprecedented progress. Last year TBC Bank doubled in terms of both financial parameters and number of personnel.

In the context of such colossal growth, TBC Bank managed to strengthen its positions and, at the same time, achieve a number of strategically important successes.

The three most important events at TBC over the past year were: the shift to a new strategy, the opening of ultra-modern branch offices the likes of which are completely new to Georgia and expanding our business beyond the borders of the country.

It is with pride that my team and I present the fruits of the bank's activities during 2007 in the form of this report. It outlines all the financial and other achievements made thanks to the efforts of thousands of people. These achievements serve to ensure the well-being of tens of thousands of people - our customers and partners and, last but not least, our employees.

MAMUKA KHAZARADZE

ბანკის პრეზიდენტის მიმართვა
SPEECH OF THE BANK PRESIDENT

2007 წელი თიბისი ბანკისათვის წარმატებული და საეტაპო იყო ბევრი თვალსაზრისით. შევეცდები, მოკლედ მიმოვიხილო ჩვენი კომპანიის ძირითადი მიღწევები რამდენიმე მიმართულებით:

ფინანსური შედეგები

2007 წლის განმავლობაში თიბისი ბანკი ძალიან დინამიურად გაიზარდა ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით. კერძოდ, გასულ წელს ბანკის აქტივები 78.3%-ით გაიზარდა და 1 მილიარდ 712 მილიონ ლარს მიაღწია. 1 მილიარდ 129 მილიონ ლარამდე გაიზარდა საკრედიტო პორტფელი, რაც წინა წელთან შედარებით 96.6%-იან ზრდას ნიშნავს. რაც შეეხება ანაბრების პორტფელს, იგი 2006 წელთან შედარებით 41.2%-ით გაიზარდა და 780 მილიონ ლარს მიაღწია. წლის ბოლოს თიბისი ბანკის მოგებამ 28 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ახალი სტრატეგია და ულტრათანამედროვე ფილიალები

გასულ წელს თიბისი ბანკმა თავის სტრატეგიაში ცვლილება შეიტანა და ფიზიკური პირების ბაზარზე აქტიური განვითარება დაიწყო.

სტრატეგიის ამგვარმა ცვლილებამ საჭირო გახადა თიბისი ბანკის რებრენდინგი. შემუშავდა ბანკის ახალი ბრენდბუქი, რომელიც ძველი კორპორატიული სტილის ევოლუციის შედეგად შეიქმნა. შეიქმნა თიბისი ბანკის ახალი კორპორატიული სლოგანი: ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს.

რაც მთავარია, ახალი სტრატეგია გულისხმობდა მოკლე დროში ფილიალების, სერვის-ცენტრებისა და ბანკომატების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას, აგრეთვე ბანკის მიერ სულ უფრო მრავალფეროვანი მომსახურებების შეთავაზებას ფიზიკური პირებისათვის და არსებული სერვისების პირობების მკვეთრ გაუმჯობესება-გამარტივებას.

პარალელურად, თიბისი ბანკმა წარმატებით შეინარჩუნა და გააძლიერა თავისი პოზიციები კორპორატიული კლიენტების ბაზარზე.

ახალი სტრატეგიის ფარგლებში, 2007 წელს თიბისი ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო სრულიად ახალი ტიპის ულტრათანამედროვე ფილიალების ქსელის შექმნის დაწყება – ეს სიახლე იყო ქართული ბაზრისთვისაც, ვინაიდან ასეთი ტიპის ფილიალები საქართველოში მანამდე არ არსებობდა. პროექტი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Senteo International-ის დახმარებით განხორციელდა.

ახალ ფილიალებში მომსახურება ხდება ბარიერების გარეშე, გახსნილ სივრცეში. ეს ფილიალები პირდაპირ გამოხატავენ სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია”: კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად იღებენ გადაწყვეტილებას.

The year 2007 was a success and a breakthrough year for number of reasons. Let me briefly review the company's achievements in several areas:

FINANCIAL RESULTS

During 2007 TBC Bank grew very dynamically according to all basic financial parameters. In particular, the assets of the Bank during the last year increased 78.3% and reached 1,712m GEL. Its credit portfolio increased up to 1,129m GEL, which amounts to 96.6% growth over the previous year. As for the deposit portfolio, it increased by 41.2% as compared with the previous year and totalled 780m GEL. The profit of TBC Bank exceeded 28m GEL by the end of the year.

NEW STRATEGY AND ULTRA-MODERN BRANCH OFFICES

Last year TBC Bank made changes in its strategy and began actively developing the services it offers to individuals.

It was this change of strategy that conditioned the decision to rebrand TBC Bank. A new logo was developed which represents an evolution of sorts over the old one. A new corporate slogan has also been developed: Together we are stronger .

Most importantly, the new strategy implied a significant increase in the number of branch offices, service-centres and ATMs, as well as offering of more and more diverse services to natural persons and greatly improving and simplifying existing services.

In parallel, TBC Bank successfully maintained and strengthened its positions on the market of corporate clients.

Within this new strategy, one of the most important projects of TBC Bank in 2007 was the establishment of a network of ultra-modern branch offices of a kind that heretofore did not exist in Georgia. The project was implemented with the support of the International Consulting Company Senteo International.

Service at the new branch offices is rendered without barriers, in an open space. These branch offices directly express the slogan: "My bank is by my side", as the client and the bank employee stand side by side and take decisions together.

REGIONAL DEVELOPMENT

We consider that one of the most significant achievements was TBC Bank's first project towards regional expansion, namely our successful entrance into the Azerbaijani market. Last year TBC Bank acquired 75% of shares of the local credit institution SOA Credit, which is a daughter company of Azerbaijan's Shorebank.

ბანკის პრეზიდენტის მიმართვა
SPEECH OF THE BANK PRESIDENT

რეგიონალური განვითარება

2007 წლის სერიოზულ მიღწევად მიგვაჩნია თიბისი ბანკის პირველი პროექტი რეგიონალური განვითარების მიმართულებით – აზერბაიჯანის ბაზარზე წარმატებული შესვლა. შარშან თიბისი ბანკმა აზერბაიჯანში ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტის, "სოა კრედიტის" აქციათა 75% შეიძინა. "სოა-კრედიტი" "შორბანკის" შვილობილი კომპანიაა აზერბაიჯანში.

რეგიონალური განვითარება ლოგიკური გაგრძელებაა იმ წარმატებული მოღვაწეობისა, რომელსაც თიბისი ბანკი შიდა ბაზარზე ახორციელებს. მომდევნო ეტაპზე, აზერბაიჯანის ბაზარზე მიღებული გამოცდილება წარმატებით იქნება გამოყენებული თიბისი ბანკის მიერ დსთ-ს სივრცეში სხვა ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირების პროცესში.

საინვესტიციო ბანკი

თიბისი ბანკის სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით, გასული წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო თიბისის საინვესტიციო ბანკის დაარსება.

ეს ახალი მიმართულება გულისხმობს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის სრულყოფილი ფინანსური სერვისის შეთავაზებით, მათი ბიზნესისა და პირადი კაპიტალის გაფართოებას.

თიბისის საინვესტიციო ბანკის მიზანია გახდეს ბაზრის წამყვანი მოთამაშე და ხელი შეუწყოს კლიენტების კაპიტალის ზრდასა და განვითარებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორისო აღიარებები

შარშანდელი წელი თიბისი ბანკისათვის წარმატებული იყო საერთაშორისო აღიარებების თვალსაზრისითაც. გაზაფხულზე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings თიბისი ბანკის რეიტინგი 2 საფეხურით გააუმჯობესა და "B+" კატეგორია მიანიჭა.

მოგვიანებით, საერთაშორისო სააგენტომ Moody's თიბისი ბანკს მიანიჭა რეიტინგი და მისი შეფასება განსაზღვრა, როგორც სტაბილური.

პარალელურად, ჩვენმა კომპანიამ სერიოზულ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია მომსახურების ხარისხის კუთხით – 2007 წლის მარტში ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერებმა SAI GLOBAL და საერთაშორისო სერტიფიცირების ქსელმა IQNet თიბისი ბანკს ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 : 2000 სერტიფიკატი მიანიჭეს.

ამით თიბისი ბანკი გახდა პირველი ბანკი საქართველოში, რომელმაც ISO–ს სტანდარტი მიიღო. თიბისი ბანკის მართვის სისტემების ხარისხი შეფასდა, როგორც მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი.

თიბისი ბანკის საერთაშორისო ავტორიტეტსა და ნდობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გასული წლის განმავლობაში ჩვენმა ბანკმა უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან 245 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი მოიზიდა.

ჩვენი გუნდი დარწმუნებულია, რომ გასული წლის მიღწევები და განხორციელებული სიახლეები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თიბისი ბანკის მთავარი მიზნის შესრულებაში – იყოს რეგიონის ლიდერი კომპანია, რომელიც გამოირჩევა კლიენტებზე ზრუნვით, ინოვაციურობითა და დინამიური განვითარებით.

ვახტანგ ბუცხრიკიძე

REGIONAL DEVELOPMENT

Regional development is a logical continuation of the successful activities implemented by TBC Bank on the domestic market. At the next stage, the experience obtained on the Azerbaijani market will be used successfully in the process of TBC Bank's investment in the financial markets of other CIS countries.

INVESTMENT BANK

The establishment of TBC Investment Bank was a significant event from the standpoint of the bank's strategic development.

This new endeavour implies expanding the business and personal capital of legal entities and individuals through offering comprehensive financial services.

The objective of TBC Investment Bank is to become a leading player of the market and facilitate the increase and development of clients' capital locally, as well as internationally.

INTERNATIONAL RECOGNITION

The last year was successful for TBC Bank from the standpoint of international recognition as well. In the spring the FitchRatings International Rating Agency raised the rating of TBC Bank by two levels, up to B+.

Later, Moody's International Agency evaluated TBC Bank as stable.

In parallel, our Company is winning serious recognition in terms of quality of service. In March 2007, SAI GLOBAL and the International Certifying Network IQNet the world's leaders in quality management systems, awarded TBC Bank ISO 9001 : 2000 certificate of international quality management standard.

Thus TBC Bank became the first bank in Georgia to obtain the ISO standard. The quality of management systems of TBC Bank was evaluated as conforming to the highest world standards.

The fact that out bank attracted 245m USD in financial resources from foreign financial institutions during the last year indicates TBC Bank's international authority and reliability.

Our team believes that the achievements of the last year and the innovations introduced will play a significant role in realizing the main objective of TBC Bank – be leading company of the region, known for taking care of its clients, delivering new products and developing dynamically.

Vakhtang Butskhrikidze

ფინანსური შედეგები
FINANCIAL STATEMENTS

თიბისი ბანკის წილი ბაზარზე აქტივების მიხედვით

TBC BANK SHARE IN THE MARKET BY ACCETS



თიბისი ბანკის წილი ბაზარზე საკრედიტო პორტფელის მიხედვით

TBC BANK SHARE IN THE MARKET BY CREDIT PORTFOLIO



თიბისი ბანკის წილი ბაზარზე დეპოზიტების მიხედვით

TBC BANK SHARE IN THE MARKET BY DEPOSITS



მთლიანი კაპიტალი და აქტივები

TOTAL EQUITY & TOTAL ASSETS



ლევერეჯი

(საშუალო აქტივები / საშუალო კაპიტალი)

LEVERAGE

(Average assets / Average equity)



აქტივების სტრუქტურა

ASSETS STRUCTURE



ფინანსური შედეგები
FINANCIAL STATEMENTS

ვალდებულებების სტრუქტურა

LIABILITIES STRUCTURE



ლიკვიდურობა

LIQUIDITY



დეპოზიტების დინამიკა

DEPOSITS DYNAMICS



საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა

TREND OF INTEREST INCOME AND EXPENSES



მთლიანი შემოსავლების სტრუქტურა

TOTAL INCOME STRUCTURE

მთლიანი ხარჯების სტრუქტურა

TOTAL EXPENSES STRUCTURE




კითხვა გაქვთ?
ინფორმაციისთვის
მომმართეთ
Questions?
Please ask
თიბისი ბანკი
TBC BANK

საერთაშორისო მიღწევები
INTERNATIONAL ACHIEVEMENTS

რეგიონალური განვითარება

თიბისი ბანკი აზერბაიჯანულ ბაზარზე შევიდა

2007 წლის შემოდგომაზე თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. პირველი პროექტი ამ მიმართულებით წარმატებით შედგა – თიბისი ბანკმა აზერბაიჯანში ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტის, "სოა კრედიტის" აქციათა 75% შეიძინა. სოა-კრედიტი აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში დაფუძნებული "შორბანკის" შვილობილი კომპანიაა აზერბაიჯანში.

რეგიონალურ განვითარებაზე ზრუნვა თიბისი ბანკმა შიდა ბაზარზე მიღწეული წარმატებების პარალელურად დაიწყო. პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა აზერბაიჯანის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, ფინანსური ბაზარი, რომელიც ხასიათდება სტაბილური ზრდის ტენდენციით.

თიბისი ბანკი უახლოეს მომავალში "სოა-კრედიტს" სერიოზულ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოაყალიბებს, რომელიც აზერბაიჯანში ადგილობრივ მომხმარებელს შესთავაზებს ფართო სპექტრის საბანკო მომსახურებას.

მომდევნო ეტაპზე, აზერბაიჯანის ბაზარზე მიღებული გამოცდილება წარმატებით იქნება გამოყენებული თიბისი ბანკის მიერ დსთ-ს სივრცეში სხვა ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირების პროცესში.

საერთაშორისო რეიტინგები

FitchRatings-მა თიბისი ბანკის რეიტინგი "B+"-მდე გააუმჯობესა

2007 წლის ივლისში საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ FitchRatings თიბისი ბანკის რეიტინგი 2 საფეხურით გააუმჯობესა და "B+" კატეგორია მიანიჭა.

სარეიტინგო სააგენტოს ექსპერტთა განცხადებით, თიბისი ბანკი განმსაზღვრელ როლს ასრულებს ქართული საბანკო სისტემის განვითარებაში. ასეთი მაღალი შეფასება კი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, როგორც თიბისი ბანკის საოპერაციო გარემოსა და დაფინანსების პარამეტრების გაუმჯობესებაზე, ასევე მთლიანად საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების მზარდ ტენდენციაზე.

FitchRatings-მა თიბისი ბანკის რეიტინგი გააუმჯობესა შემდეგ კატეგორიებში:

- გრძელვადიანი რეიტინგი გაუმჯობესდა „B-"-დან „B+"-მდე;
- მხარდაჭერის რეიტინგი გაუმჯობესდა "5"-დან "4''-მდე;
- მოკლევადიანი რეიტინგი – "B";
- ინდივიდუალური რეიტინგი – "D";

საერთაშორისო სააგენტოს Moody's შეფასება

2007 წლის მაისში, საერთაშორისო სააგენტომ Moody's, თიბისი ბანკს მიანიჭა რეიტინგი შემდეგ კატეგორიებში:

- შეფასება – სტაბილური
- საბანკო დეპოზიტები – უცხოურ ვალუტაში B3/NP
- საბანკო დეპოზიტები – ეროვნულ ვალუტაში Ba1/NP
- ბანკის ფინანსური მდგრადობა – D-

REGIONAL DEVELOPMENT

TBC Bank Entered Azerbaijanian Market

In the autumn 2007 TBC left Georgian borders and began regional development. The beginning of the first project in this direction was successful – TBC Bank bought 75% of shares of the local credit institution – "SOA Credit" in Azerbaijan. "SOA Credit" it the daughter company in Azerbaijan of "ShoreBank" established in Chicago, USA.

TBC began to care for regional development in parallel with progress achieved on local market. On the first stage financial market of Azerbaijan, as strategic partner of Georgia, was chosen, which is characterized by sustainable development trend.

In the nearest future TBC Bank will form "SOA Credit" as a serious financial institution, which will offer wide spectrum of banking services to the local customers in Azerbaijan.

On the next stage the experience obtained on Azerbaijanian market will be successfully implemented by TBC Bank in CIS in the process of investing in financial markets of other countries.

INTERNATIONAL RATINGS

FitchRatings Upgraded the Rating of TBC Bank up to "B+"

In July 2007, The international Rating Agency FitchRatings raised TBC Bank's rating by two levels and granted „B+" category.

The experts of the Rating Agency stated that TBC Bank has significant function in the development of local banking sector. Such high evaluation directly reflects the gradually improving operating environment and financing parameters of TBC Bank, as well as the growth tendency of the Georgian banking sector development.

FitchRatings upgraded TBC Bank's rating in the following categories:

- Long-term rating raised from „B-" to „B+"
- Support rating raised from „5" to „4"
- Short-term rating – "B"
- Individual rating – "D"

Evaluation by International Agency Moodey's

In May 2007 Moody's Corporation assigned TBC Bank the following ratings in the following categories:

- Evaluation - Stable
- Bank Deposits – Foreign Currency B3/NP
- Bank Deposits – National Currency Ba1/NP
- Bank's Financial Strength - D-

სამრთაშორისო მიღწევები
INTERNATIONAL ACHIEVEMENTS

საერთაშორისო აღიარებები

თიბისი ბანკი – პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO-ს ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა

2007 წლის 27 მარტს თიბისი ბანკს მსოფლიოში ხარისხის ყველაზე ავტორიტეტული სტანდარტი მიენიჭა – ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერებმა SAI GLOBAL და საერთაშორისო სერტიფიცირების ქსელმა IQNet თიბისი ბანკს ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 : 2000 მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატი მიანიჭეს.

თიბისი ბანკი პირველი ბანკია საქართველოში, რომელმაც ISO-ს სტანდარტი მიიღო. ეს ნიშნავს, რომ თიბისი ბანკის მართვის სისტემების ხარისხი შეფასდა, როგორც მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი.

ჟურნალმა Global Finance თიბისი ბანკი საქართველოში საუკეთესო ბანკად დაასახელა

2007 წლის მარტში ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" "მსოფლიოს განვითარებადი ბაზრების საუკეთესო ბანკების" რეიტინგში თიბისი ბანკი დაასახელა, როგორც საუკეთესო ბანკი საქართველოში.

"Global Finance"-ის მიერ 2004, 2005, 2006 და 2007 წელს, ზედიზედ ოთხჯერ თიბისი ბანკი დასახელდა, როგორც საუკეთესო ქართული ბანკი სახაზინო და სავალუტო გაცვლითი ოპერაციების წარმოებაში. გარდა ამისა, 2005, 2006 და 2007 წელს თიბისი ბანკის წარმატების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი 3-ჯერ მოხვდა აზიის რეგიონის 19 საუკეთესო ბანკის რეიტინგში, როგორც "საუკეთესო ბანკი საქართველოში".

მოზიდული ფინანსური რესურსები

თიბისი ბანკმა 2007 წლის განმავლობაში უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან 245 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი მოიზიდა:

აპრილი – თიბისი ბანკმა 47 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის რესურსი მოიზიდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის "ჯეი პი მორგანის" (JP Morgan) დახმარებით.

ივნისი – "მერილ ლინჩმა" (Merrill Lynch) 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა თიბისი ბანკში.

ივლისი – ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ (FMO) თიბისი ბანკს 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი გამოუყო. ამავე თვეში თიბისი ბანკმა მეორე კონტრაქტიც გააფორმა – შვეიცარიულმა კორპორაციამ Credit-Suisse თიბისი ბანკს 35 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი გამოუყო. ეს იყო Credit-Suisse-ის პირველი ინვესტიცია საქართველოში.

აგვისტო – თიბისი ბანკმა მსოფლიო წამყვანი საინვესტიციო ბანკის, დოიჩე ბანკის (Deutsche Bank) დახმარებით 54 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სინდიცირებული სესხი მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 14 წამყვანი ბანკიდან.

ნოემბერი – თიბისი ბანკმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (EBRD) 49 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. აქედან 19 მილიონი აშშ დოლარი წარმოადგენს სინდიცირებულ სესხს; 20 მილიონი აშშ დოლარი განკუთვნილია ვაჭრობის სფეროს დაფინანსებისთვის, ხოლო 10 მილიონი აშშ დოლარი – ენერგოეფექტურობის პროექტების დაფინანსებისთვის.

INTERNATIONAL RECOGNITIONS

TBC Bank is the First Bank to be Awarded ISO Quality Certificate

In March 2007 TBC Bank was awarded the most authoritative quality standard in the world – the worldwide leaders in quality management systems SAI GLOBAL and International Certification Network IQNet awarded to TBC Bank the Certificate of Conformity with the requirements of International Standard of Quality Management System - ISO 9001 : 2000.

TBC Bank is the first bank in Georgia who obtained ISO Certificate. It means that the system of management of TBC Bank was evaluated as that conforming to highest world standards.

The Magazine Global Finance Nominated TBC Bank as the Best Bank in Georgia

In March 2007 American magazine "Global Finance" nominated TBC Bank as the best bank in Georgia in the "Rating of the Best Banks in Emerging Markets of the World".

"Global Finance" nominated TBC Bank as the best Georgian bank in performance of treasury and currency exchange operations four times one after another – in 2004, 2005, 2006 and 2007. Besides, in 2005, 2006 and 2007 the scale of progress of TBC Bank significantly increased and it was included for three times in the rating of the 19 best banks of Asian region, as the "Best Bank in Georgia".

ATTRACTED FINANCIAL RESOURCES

During 2007 TBC Bank attracted financial resources in the amount of 245 mln USD from foreign financial institutions:

April - TBC Bank attracted resources in the amount of 47 mln USD with the support of one of the largest banks of the world – "JP MORGAN"; the purposefulness of the loan is not limited and it was directed mainly towards the implementation of corporative goals.

June – Merrill Lynch made investments in TBC Bank in the amount of 40 mln USD.

July – Financial Company of Development of the Netherlands (FMO) allocated subordinated loan in the amount of 20 mln USD to TBC Bank. The same month, TBC Bank formalized the other contract – Swiss Corporations Credit-Suisse allocated to TBC Bank financial resources in the amount of 35 mln USD. It was the first investment made by Credit-Suisse in Georgia.

August – TBC Bank obtained syndicated loan in the amount of 54 mln USD from 14 leading banks from various countries of the world with the support of the leading investment bank of the world – Deutsche Bank.

November – TBC Bank obtained 49 mln USD from European Bank for Reconstruction and Development (EBRD). 19 mln USD from that amount represents syndicated loan; 20 mln USD is destined for financing of trade sphere, and 10 mln USD – for financing of energy-efficiency projects.


PLD BOYS

ახალი პროდუქტები
NEW PRODUCTS

2007 წელი თიბისი ბანკისთვის წარმატებული იყო ახალი პროდუქტების დანერგვის თვალსაზრისით. ბანკის მომსახურებების მენიუ გაფართოვდა და კლიენტების მოთხოვნებზე მეტად მორგებული გახდა.

კერძოდ, თიბისი ბანკის მიერ მომხმარებლისათვის მოხდა შემდეგი ახალი პროდუქტების შეთავაზება:

ტელეფონ ბანკი

თიბისი ბანკმა კლიენტებისათვის გასულ წელს განავითარა კიდევ ერთი დისტანციური სერვისი – 2007 წლის მაისში მუშაობა დაიწყო 24-საათიანმა სატელეფონო სერვისმა.

ტელეფონ ბანკის მომსახურება ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში, მთელი კვირის მანძილზე. ტელეფონ ბანკის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია. ფიზიკურ პირებს აგრეთვე შეუძლიათ ტელეფონით განახორციელონ მთელი რიგი ოპერაციები, მაგალითად: გადარიცხვები, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, გახსნან ანაბრები, დაფარონ სესხი, შეუკვეთონ პლასტიკური ბარათები და ა.შ.

ტელეფონ ბანკით სარგებლობისათვის კლიენტისათვის საკმარისია ბანკში მხოლოდ ერთხელ მოსვლა სატელეფონო მომსახურებისათვის პირადი კოდის მისაღებად.

თიბისი ბანკის სატელეფონო ცენტრი თვეში 140,000-ზე მეტ ზარს ემსახურება. ამასთან, ტელეფონ ბანკის სერვისით 2007 წლის ბოლოსთვის სარგებლობდა 35,000-ზე მეტი კლიენტი.

გადაჯექი ახალ მანქანაში

თუ მომხმარებელს ჰყავს ძველი მანქანა და სურს მისი ახლით შეცვლა, მაგრამ ამისთვის არ გააჩნია საკმარისი დანაზოგი, თიბისი ბანკმა ასეთი საჭიროებისთვის შექმნა სპეციალური პროდუქტი “გადაჯექი ახალ მანქანაში”. ამ მომსახურების საშუალებით კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა იყიდოს ახალი მანქანა მთლიანად ბანკის სესხით და შემდეგ აუჩქარებლად იზრუნოს ძველის გაყიდვაზე, სესხის აღებიდან 4 თვის განმავლობაში.

იპოთეკური სესხები

უძრავი ქონების ბაზრის სწრაფი ტემპებით განვითარებას თიბისი ბანკი გამოეხმაურა იპოთეკური სესხების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და ერთდროულად რამდენიმე სიახლის დანერგვით.

კერძოდ, იპოთეკური სესხების ვადა გაიზარდა 30 წლამდე, მსესხებლებს საშუალება მიეცათ ისარგებლონ 1 წლიანი საშეღავათო პერიოდით და, რაც მთავარია, შეიქმნა იპოთეკური სესხის 4 ახალი ნაირსახეობა:

“გარანტირებული სესხი”

გარანტირებული სესხი არის 2 პროდუქტის ერთობლიობა: ზრდადი ანაბარი + იპოთეკური სესხი. თუ კლიენტს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი სესხის აღება და ასეთ პერსპექტივაზე მხოლოდ სამომავლოდ ფიქრობს, მას შესაძლებლობა აქვს შეაგროვოს თანხა ზრდად ანაბარზე, ხოლო შემდეგ გარანტირებულად, ყოველგვარი დამატებითი შემოწმების გარეშე, მიიღოს იპოთეკური ან სამომხმარებლო სესხი.
გარანტირებული სესხის მაქსიმალური მოცულობა 50000 აშშ დოლარია.

The year 2007 was successful for TBC Bank in terms of introducing new products. The menu of services provided by the Bank increased and became better suited to the clients' demands.

In particular, TBC Bank offered the following new products to customers:

TELEPHONE BANK

Last year TBC Bank developed one more remote service – 24-hour telephone service began functioning in May 2007.

The Telephone Bank service is available 24 hours a day 7 days a week. By means of Telephone Bank the customer is able to obtain any information related to banking services. It also allows individuals to perform a number of operations by phone, e.g. make transfers, pay utility payments, open deposits, cover loans, order plastic cards, etc.

In order to take advantage of the Telephone Bank service, all the client as to do is go to the Bank once and obtain a personal identification code for telephone-based service.

TBC Bank's call centre answers over 140,000 calls per month. By the end of 2007, 35,000 clients had used the Telephone Bank service.

REPLACE YOUR CAR

TBC Bank has developed a special product for those who have an old car and want to replace it with a new one, but don't have enough money. "Replace Your Car" allows clients to buy a new car with a bank loan completely and then make arrangements to sell the old one without any haste - within four months after the date the loan is issued.

TBC Bank responded to the quick development of the real estate market by significantly improving the terms of real-estate loans and introducing several new products.

REAL-ESTATE LOANS

In particular, the period of real-estate loans was increased up to 30 years; borrowers can now enjoy a 1-year grace period and, most importantly, four new types of real-estate loans were created:

"Guaranteed Loan"

"Guaranteed Loan" is a combination of two products – increasing deposit + real-estate loan. If the client hasn't decided yet to take out a loan but is thinking about doing so in the future, he/she can accumulate a sum on the increasing deposit, and then obtain a real-estate or consumer loan without any additional verification. The maximum amount of the "Guaranteed Loan" is 50,000 USD.

"Annual Increase of Payments"

"Annual Increase of Payments" is a type of real-estate loan for people whose salary is not enough to obtain the requested amount and/or clients, for whom it is important to make small payments on the initial stage of the loan.

ახალი პროდუქტები
NEW PRODUCTS

იპოთეკური სესხები

“შენატანების ყოველწლიური ზრდა”

”შენატანების ყოველწლიური ზრდა” არის იპოთეკური სესხის ნაირსახეობა, რომელიც განკუთვნილია პირებისათვის, რომელთა ხელფასიც არ ყოფნის სესხის მოთხოვნილი თანხის აღებას, და/ან კლიენტებისთვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია მცირე შენატანების გაკეთება სესხის მოქმედების საწყის ეტაპზე.

ამ ტიპის იპოთეკური სესხის პირველ წელს კლიენტი ყოველთვიურად იხდის უფრო ნაკლებს, ვიდრე მომდევნო წელს; მეორე წელს უფრო ნაკლებს, ვიდრე მესამე წელს და ა.შ., სესხის ვადის ბოლომდე. შენატანის ზრდა წლიდან წლამდე შეადგენს 5%-ს.

“ოფსეტი”

იპოთეკური სესხის აღების დროს მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა სურვილის შემთხვევაში ისარგებლოს სესხის პროცენტის შემცირების ”Offset” მექანიზმით – თუ კლიენტი შერჩეულ ანგარიშზე ყოველთვიურად ან ნებისმიერი სხვა პერიოდულობით ჩარიცხავს/შეიტანს ხელფასს ან სხვა ნებისმიერ დანაზოგს, სესხის ძირითად თანხას გამოაკლდება ამ ანგარიშზე არსებული თანხა და მხოლოდ მიღებული ნაშთიდან დაიანგარიშება იპოთეკის პროცენტი.

ამ ტიპის იპოთეკური სესხი მოსახერხებელია იმ კლიენტებისათვის, რომლებსაც აქვთ ან გეგმავენ ჰქონდეთ ბანკში დანაზოგი და, ამავდროულად, იპოთეკური სესხიც გააჩნიათ.

“შეცვალე სახლი”

“შეცვალე სახლი” არის სესხის აღების საუკეთესო შესაძლებლობა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ ძველი სახლის გაყიდვა და ახლის შეძენა. ”შეცვალე სახლი”-ს დახმარებით კლიენტს საშუალება ეძლევა იყიდოს ახალი ბინა მთლიანად ბანკის სესხით და შემდეგ იზრუნოს ძველის გაყიდვაზე.

მსესხებელზე რეალურად გაიცემა ორი სესხი: ერთი სესხი არის სტანდარტული გრძელვადიანი იპოთეკური სესხი, ხოლო მეორე წარმოადგენს შუალედურ სესხს, რომელიც იფარება არსებული სახლის გაყიდვის შემდეგ.

განვადების ბარათი

თიბისი ბანკმა 2007 წლის დეკემბრიდან დანერგა ახალი პროდუქტი – “განვადების ბარათი”. ამ ბარათის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მისი გამოშვებიდან პირველივე თვეს ბანკმა 10,000 ასეთი ბარათი გაყიდა.

განვადების ბარათი არის VISA Electron სწრაფი გამოშვების (Instant Issue) ბარათი, რომლითაც კლიენტს აქვს საქონლის ან მომსახურების განვადებით შეძენის შესაძლებლობა.

განვადების ბარათი წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისთვის წინასწარ დამტკიცებულ სესხს, რომლის გამოყენებაც კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს, ბანკთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე. განვადების ბარათის მისაღებად არავითარი საბუთის წარდგენა არ არის საჭირო. საკმარისია მხოლოდ პირადობის მოწმობა. პროდუქტის მინიმალური ღირებულება, რომლის შეძენა შესაძლებელია განვადებით, არის 50 ლარი. განვადების მაქსიმალური ლიმიტი კი 3000 ლარია.

REAL-ESTATE LOANS

During the first year of real-estate loan of this type, the client's monthly payment gradually increases with each passing year up to the end of the loan period. The annual increase of the payment is 5 per cent.

"Offset"

When obtaining a real-estate loan the customer can use the "Offset" mechanism to decrease the interest of the loan – if the client transfers/ brings salary or any other savings to the selected account on a monthly basis or with any other periodicity, the sum, existing on this account will be deducted from the principal sum of the loan and the interest on real-estate loan will be calculated only for the remaining amount.

This type of real-estate loan is suitable for clients who have or plan to have savings in the Bank during the loan period.

"Replace your House"

